გერმანული ნოტარიატის სისტემა*[1]

რიხარდ ბოკი

იუსტიციის მრჩეველი, ნოტარიუსი
გერმანიის ფედერალური სანოტარო პალატის გენერალური რწმუნებული საერთაშორისო ურთიერთობებში

I. სანოტარო პროფესიული სამართალი

1. საჯარო თანამდებობა

გერმანიაში ნოტარიუსები საჯარო მოხელეები არიან. ამრიგად, ისინი წარმოადგენენ მართლმსაჯულების ნაწილს და სუვერენული ამოცანების შესრულება ეკისრებათ. მაგრამ, მოსამართლისაგან განსხვავებით, ნოტარიუსი გერმანიაში თავად სახელმწიფო ორგანიზაციაში კი არ საქმიანობს, არამედ თავის საჯარო უფლებამოსილებას თავისუფალი პროფესიის სახით ახორციელებს. იგი ორგანიზაციულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელია.

ნოტარიუსებს გერმანიაში სახელმწიფო ნიშნავს და გამოიწვევს. პროფესიულ პალატებს, როგორც ნოტარიუსთა თვითმმართველ კორპორაციებს, დანიშვნის პროცესში მხარდამჭერის ანდა მრჩევლის როლი ეკისრებათ. იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსს ნიშნავს ნოტარიუსთა პალატის რეკომენდაციის საფუძველზე.

ნოტარიუსთა საქმიანობის შესახებ ფედერალური კანონისა და დამოწმების შესახებ კანონის თანახმად (ეს არის ორი ძირითადი კანონი, რომლებიც სანოტარო საქმიანობას აწესრიგებენ), ნოტარიუსის უფლებამოსილება მოიცავს დამოწმებასა და დადასტურებას. ეს ორი ცნება მკაცრად უნდა გაიმიჯნოს.

დადასტურებაში მხოლოდ ხელმოწერათა დადასტურება იგულისხმება. როცა ნოტარიუსი ხელმოწერას ადასტურებს, იგი ამტკიცებს, რომ დარწმუნდა ხელმომწერის ვინაობასა და ქმედუნარიანობაში. დადასტურება სხვა რამეს არ მოიცავს. ამას გარდა, ნოტარიუსს შეუძლია ასლების დადასტურებაც (ე. ი. მაგალითად, სამოქალაქო აქტების რეესტრის მოწმობების, საბუთების და, რა თქმა უნდა, სანოტარო მოწმობების ასლებისა). მაგრამ ეს სრულიად მეორეხარისხოვანი საქმიანობაა. ხელმოწერის დადასტურებასაც პრაქტიკაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. სანოტარო საქმიანობის ბირთვი დამოწმებაა.

დამოწმება ლათინური ყაიდის ნოტარიატის სპეციფიური საქმიანობაა. დამოწმების პროდუქტი კი საჯარო მოწმობაა. ინგლისურ თარგმანებში დამოწმების მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები „ratification“, „notarisation“ ან „approval“ სათანადოდ არ ასახავენ პროცედურას (მართებული თარგმანი იქნებოდა „authentication“). ერთმანეთისგან განასხვავებენ ნების გამოვლენათა (ე. ი. ძირითადად ხელშეკრულებათა) და ფაქტების დამოწმებას. ნების გამოვლენათა დამოწმებისას, მაგალითად, საქმე ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებას უძრავ ქონებაზე, გირავნობის უფლების დადგენას, მიწის ნაკვეთის დატვირთვას, საზოგადოების ხელშეკრულებების გაფორმებას, ანდერძის შედგენას, საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებასა და განქორწინების შეთანხმებებს. ნების გამოვლენათა დამოწმება გერმანელი ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის დაახლო-

---

* სტატია გერმანულიდან თარგმნა *დავით მაისურაძემ.*

[1] ბატონ პროფ. დოქ. *კასპარ ფრაის* (ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი, ოდერის ფრანკფურტი) მადლობას ვუხდი მნიშვნელოვანი მითითებებისათვის.

ებით 95%-ს მოიცავს. ამასთანავე არსებობს ფაქტების დამოწმებაც. აქ კი, ძირითადად, საქმე ეხება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების პროცესის დამოწმებას. ნების გამოვლენისა (ე. ი. ხელშეკრულებებისა) და ფაქტების (ე. ი. საერთო კრებების) დამოწმების გარეგნულ პროცედურებს შორის სხვაობა ისაა, რომ ნოტარიუსმა დამოწმებული ნების გამოვლენები მხარეებს უნდა გააცნოს და მათ ხელი მოაწერინოს, ხოლო ფაქტების დამოწმებისას ნოტარიუსი მხოლოდ მის მიერ პირადად აღქმულ გარემოებებს შეიტანს ოქმში და მას მხოლოდ თავად აწერს ხელს.

2. სამოქმედო არეალი

თითოეულ ნოტარიუსს იუსტიციის სამინისტრო ტერიტორიალური ნიშნით აკუთვნებს სამოქმედო არეალს. ის ვალდებულია მოცემულ ტერიტორიაზე გახსნას საკუთარი ბიურო. ამ ადგილის გარშემო ტერიტორიას ეწოდება სამოქმედო არეალი, რომელიც ტიპოგრაფიულად ზუსტად განისაზღვრება. როგორც წესი, გერმანიაში ნოტარიუსს ამ სამოქმედო არეალის მიტოვების უფლება არ აქვს. კერძოდ, მას არ შეუძლია, თავისი ბიურო სხვა ქალაქში გადაიტანოს. სხვა ყველაფერთან ერთად, ამით უზრუნველყოფილია, რომ კვალიფიციური ნოტარიუსები სოფლებშიც ხელმისაწვდომნი იყვნენ.

ყოველი ნოტარიუსისთვის სამოქმედო არეალის მინიჭების შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობა სრულად უზრუნველყოფილია სანოტარო მოქმედებებზე ხელმისაწვდომობით საკუთარი რეგიონის ფარგლებში – სახელმწიფო თავად მიდის მოქალაქესთან და სთავაზობს საკუთრ სერვისს.

ამავდროულად, გერმანიაში მოქმედებს ნოტარიუსის თავისუფალი არჩევის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს ნოტარიუსი მთელი გერმანიის მასშტაბით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქე უნდა მივიდეს ნოტარიუსთან და არა პირიქით. ნოტარიუსის თავისუფალი არჩევის პრინციპი აგრეთვე ნიშნავს იმასაც, რომ ნოტარიუსს უფლება აქვს, გასცეს სანოტარო მოწმობა იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მის სამოქმედო არეალში არ მდებარეობს და, ასევე, ის საზოგადოებები დააფუძნოს, რომელთა ადგილსამყოფელიც მისი სამოქმედო არეალის მიღმაა.

3. ნოტარიუსის დანიშვნა

ნოტარიუსის მოცულობითი და მრავალმხრივი უფლებამოსილების გამო, გერმანიაში მხოლოდ გამორჩეული იურისტები ინიშნებიან ნოტარიუსებად.

ნოტარიუსები გერმანიაში, მოსამართლეებისა და პროკურორების მსგავსად, ე. წ. „ყოვლისმომცველი იურიდიული განათლების მქონე იურისტები“ არიან. მათ მიღებული აქვთ საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება, ასევე გავლილი აქვთ ორწლიანი პრაქტიკული ზოგად-იურიდიული განათლების საფეხური სასამართლოებში, ადვოკატურებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში [რეფერენდარიატი] და ჩაბარებული აქვთ ორივე სახელმწიფო გამოცდა. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ ნოტარიუსთა რეგიონულ პალატებში თავი წარადგინონ პრაქტიკანტ ნოტარიუსად. პრაქტიკანტის მიღების წინაპირობა, როგორც წესი, არის კანდიდატის მიერ მაღალ ქულაზე ჩაბარებული მეორე სახელმწიფო გამოცდა. ნოტარიუსად ირჩევენ, როგორც წესი, მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც გამოცდაში წლის საუკეთესო შედეგების მქონეთა პირველ ორ-სამ პროცენტში მოხვდნენ.

ამის შემდეგ პრაქტიკანტმა ნოტარიუსებმა სულ მცირე სამწლიანი პრაქტიკა უნდა გაიარონ. ამ პერიოდში ხდება ყოველი პრაქტიკანტის მომზადება სპეციალური ამოცანებისათვის. განათლების პროცესი წარიმართება სხვადასხვა გამოცდილების მქონე ნოტარიუსებთან და მას თან სდევს კვალიფიკაციის ამაღლების მრავალი სპეციფიკური ღონისძიება.

რადგანაც მხოლოდ იმ რაოდენობის პრაქტიკანტი ნოტარიუსი სახელდება, რამდენი ნოტარიუსის ადგილიც გათავისუფლდება მომდევნო სამ-ხუთ წელიწადში, ყოველ პრაქტიკანტს პრაქტიკის გავლის შემდეგ წარმატებით შეუძლია წამოაყენოს თავი ნოტარიუსის გათავისუფლებული ადგილის დასაკავებლად.

პრაქტიკანტობის განმავლობაში პრაქტიკანტი სხვა ნოტარიუსთა წარმომადგენლად დგინდება. ნოტარიუსს უფლება არ აქვს, თავისი ბიურო დახუროს სამუშაო დღეებში. თუ მას შვებულებაში გასვლა სურს ან ავადაა, წარმომადგენელი სჭირდება. წარმომადგენლობას კი პრაქტიკანტი ნოტარიუსი უზრუნველყოფს.

4. ადვოკატ-ნოტარიუსი

გერმანია ფედერალური მოწყობის სახელმწიფოა. ისტორიულად გერმანია XIX საუკუნემდე უამრავ მცირე და უმცირეს სახელმწიფოდ იყო დანაწევრებული. ამ სახელმწიფოებში XVIII საუკუნიდან ნოტარიუსებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დამატებით ადვოკატებიც ყოფილიყვნენ. ეს ორმაგი პროფესია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში დღემდე არსებობს. შედეგად, გერმანიაში ადვოკატთა დაახლოებით 3,8% დამატებით ნოტარიუსიცაა. ამისათვის მათ მოეთხოვებათ საგანგებო განათლება და ნოტარიუსთა ფედერალურ პალატაში მოცულობითი გამოცდის ჩაბარება. ადვოკატ-ნოტარიუსი წარმოადგენს არა ადვოკატისა და ნოტარიუსის პროფესიების ნაზავს, არამედ პირს, რომელიც ორივე პროფესიას პარალელურად ახორციელებს. შესაბამისი პროფესიული ნორმებით უზრუნველყოფილია, რომ იგი ერთსა და იმავე საკითხზე იმავდროულად ადვოკატადაც არ იყოს ჩართული. თუკი იგი საადვოკატო ბიუროში არის დასაქმებული, ეს ვალდებულება იქ მომუშავე ყველა ადვოკატზე ვრცელდება. ამ გამიჯვნას მკაცრად აკონტროლებს საზედამხედველო უწყება. გარდა ზემოთ, მე-3 ქვეთავში განხილული პროცედურული წესებისა, ფედერალური სანოტარო კანონი სრულად ვრცელდება ადვოკატ-ნოტარიუსებზე.

5. ადგილის დაკავების პროცედურა

ყოველ სამოქმედო არეალში ნოტარიუსთა ადგილების რაოდენობას იუსტიციის სამინისტრო ადგენს. ამასთან, ადგილთა რაოდენობა დამოკიდებულია არა სამოქმედო არეალის მოსახლეობის რაოდენობაზე, არამედ ამ სამოქმედო არეალში წარმოებული საქმეების საშუალო რაოდენობაზე. ნოტარიუსი ვალდებულია, თავისი საქმის წარმოებები ყოველი წლის ბოლოს შეატყობინოს საზედამხედველო უწყებას, რათა ამ უკანასკნელმა გადაწყვიტოს ნოტარიუსის ახალი ადგილის გამოყოფის ან ძველის გაუქმების საკითხი.

თუ ნოტარიუსის ადგილი გათავისუფლდა ან ახალი გამოიყო, ყოველ ნოტარიუსსა და პრაქტიკანტ ნოტარიუსს შეუძლია თავისი კანდიდატურის წამოყენება. ამის შემდეგ იუსტიციის სამინისტრო, როგორც წესი, ამ ადგილს მიანიჭებს ყველაზე დიდი ხნის გამოცდილების მქონე კანდიდატს. ნოტარიუსებს უპირატესობა ენიჭებათ პრაქტიკანტებთან შედარებით, თუმცა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ თავიანთ უწინდელ ადგილზე სულ მცირე ხუთი წელი იმუშავეს. ამ ე. წ. „ხანგრძლივი გამოცდილების პრინციპის“ შედეგია ის, რომ ნოტარიუსის ადგილებს ქალაქებში ძირითადად არ იკავებენ პრაქტიკანტი ნოტარიუსები, რადგან დიდი გამოცდილების მქონე ნოტარიუსები თავს უფრო მეტად სწორედ აქ წამოაყენებენ. პრაქტიკანტები, ძირითადად, საქმიანობას იწყებენ მცირე ბიუროებში სოფლად. ხუთი წლის შემდეგ მათ შეუძლიათ, უფრო დიდ, გათავისუფლებულ ბიუროებში წამოაყენონ თავი (წინსვლის სისტემა). ამგვარად ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის სანოტარო მომსახურებით უზრუნველყოფა, მათ შორის, მოშორებულ, ეკონომიკურად ნაკლებად მიმზიდველ რეგიონებშიც.

ნოტარიუსის ადგილები გაყიდვადი არაა, რადგან ისინი საჯარო თანამდებობას წარმოადგენენ. შესაბამისად, ნოტარიუსის დანიშვნის ან ადგილსამყოფელის შეცვლის დროს წინამორბედი ნოტარიუსის ან მისი მემკვიდრეების მიმართ არანაირი გადახდის ვალდებულება არ არსებობს.

6. სამსახურეობრივი ზედამხედველობა და დისციპლინური ღონისძიებები

სახელმწიფოს ძლიერი როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნოტარიუსთა ზედამხედველობის სფეროში. სამსახურებრივ ზედამხედვე-

ლობას ახორციელებს შესაბამისი მიწის სასამართლო, საქმეთა შემოწმების გზით. ამრიგად, მიწის სასამართლოებს ევალებათ ყოველი ნოტარიუსის რეგულარული შემოწმება და კონტროლი. შემოწმებები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება და, როგორც წესი, ერთი კვირა გრძელდება. შემმოწმებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ნოტარიუსის ნებისმიერი მოწმობის, საბუთის, ანგარიშ-ფაქტურისა და საბანკო ანგარიშების წარმოდგენა.

მოწმდება მთელი სამსახურებრივი საქმიანობა, კერძოდ:

— მინდობილი საქაღალდეების, საბუთებისა და ფაილების წარმოება,

— ელექტრონული აღჭურვილობის უსაფრთხოება და ფუნქციონალურობა, ასევე პერსონალურ მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაცვით,

— მინდობილ საბანკო ანგარიშთა ყოველგვარი განკარგვა და მათი დოკუმენტაცია,

— სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებით, საგადასახადო შეტყობინების ვალდებულებები და ვალდებულებები ფულის გათეთრების პრევენციის ფარგლებში,

— საფასურების სწორი გამოთვლა და მიღება,

— მოწმობათა აღსრულების სწრაფი დასრულება,

— დამოწმებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების დაცულობა, თუმცა არ მოწმდება მოწმობის შინაარსობრივი მიზანშეწონილობა. ამ უკანასკნელზე ნოტარიუსი თავად მხარეთა წინაშეა პასუხისმგებელი.

ნოტარიუსები, რომლებიც სამსახურებრივ ვალდებულებას არღვევენ, ჩადიან სამსახურებრივ გადაცდომას. გადაცდომას დისციპლინურ პროცესში სანქციის სახით შეიძლება მოჰყვეს შემდეგი ღონისძიებები:

— შენიშვნა, როგორც უმსუბუქესი დისციპლინური ღონისძიება,

— ჯარიმა, როგორც საშუალო სიმძიმის დისციპლინური ღონისძიება, მაქსიმუმ 100.000 ევროს ოდენობით,

— თანამდებობიდან გადაყენება, როგორც ყველაზე მძიმე დისციპლინური სასჯელი.

თანამდებობიდან დროებით ჩამოცილება, ლათინური ყაიდის ნოტარიატის სისტემის მქონე ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, შეუძლებელია, რადგან ნოტარიუსის თანამდებობრივი ადგილი მუდმივად დაკავებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ მოწმობათა აღსრულების ვალდებულების გამო.

თანამდებობიდან შეუქცევადი გადაყენების საფუძვლები მოწესრიგებულია ფედერალურ კანონში ნოტარიუსთა საქმიანობის შესახებ. ხშირად ეს საფუძველი არის კლიენტის ქონების განიავების ფაქტი, კერძოდ ის, რომ სამსახურებრივი საქმიანობის ფორმა საფრთხეს უქმნის კლიენტთა ინტერესებს. თუმცა თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლები ნოტარიუსთა საქმიანობის შესახებ ფედერალურ კანონში ამომწურავად არა არის მოწესრიგებული. არსებობს არაერთი სხვა შემთხვევაც, როდესაც ნოტარიუსისთვის თანამდებობის შენარჩუნება შეუთავსებლად შეიძლება იქნას მიჩნეული. ასეთია, მაგალითად, საგადასახადო ნორმების სისტემატური დარღვევები.

თუ ნოტარიუსს სასამართლო სულ მცირე ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯის, მისი თანამდებობა ავტომატურად ქარწყლდება, დამოუკიდებლად იმისა, რომელი დანაშაულია ჩადენილი. ამ შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენება საჭირო აღარაა.

დისციპლინური ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება აქვთ სასამართლოებს, როგორც დისციპლინურ უწყებებს, რომლებიც პალატის ან იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოქმედებენ. ნოტარიუსს მის წინააღმდეგ გატარებული დისციპლინური ღონისძიების გასაჩივრება სამართლებრივი გზებით შეუძლია.

როგორც წესი, თანამდებობიდან გადაყენების პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ნოტარიუსს გამოძიების პროცესშიც უამრავ სამართლებრივ ინსტრუმენტზე აქვს წვდომა

და აქვს იმის საშუალებაც, რომ პროცესი ტაქტიკურად გააჭიანუროს. ამიტომ საჭიროა, ასეთ შემთხვევებში, პრევენციულად მოხდეს მისი თანამდებობიდან წინასწარი ჩამოცილება.

ნოტარიუსის თანამდებობიდან წინასწარი გადაყენება შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც ზედამხედველი უწყება ვარაუდობს, რომ არსებობს თანამდებობიდან ხანგრძლივად გადაყენების საფუძვლები და თანამდებობის შენარჩუნება კლიენტურისათვის საფრთხეს შექმნის ანდა იქონიებს გავლენას გამოძიების შემდგომ მსვლელობაზე. ამიტომ, როგორც წესი, ნოტარიუსს თანამდებობიდან გადაყენებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ზედამხედველი უწყება დროებით უჩერებს მას საქმიანობის უფლებას.

7. თანამდებობრივი პასუხისმგებლობა და სავალდებულო დაზღვევა

ნოტარიუსები ყოველი თანამდებობრივი ქმედებისათვის მხარეთა წინაშე სრული მოცულობით აგებენ პასუხს. ნოტარიუსის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. ნოტარიუსი მსუბუქი გაუფრთხილებლობისთვისაც აგებს პასუხს, თუმცა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებულის ზიანის ანაზღაურება სხვა გზით შეუძლებელია. ნოტარიუსის მიმართ მოთხოვნები, რომლებიც თანამდებობრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება, წაყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო სასამართლოში.

ნოტარიუსი ვალდებულია, იყოს დაზღვეული სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. დაზღვევის მინიმალური ოდენობა შეადგენს 500.000 €-ს ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე. რეგიონულ პალატებს შეუძლიათ, თავიანთ სფეროში უფრო მაღალი მინიმალური ოდენობა დააწესონ. გარდა ამისა, ყოველ ნოტარიუსს თავისუფლად შეუძლია, განავრცოს დაზღვეული პასუხისმგებლობის ფარგლები.

დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ მანამ, სანამ ნოტარიუსი თანამდებობრივ ვალდებულებებს გაუცნობიერებლად არღვევს. გაცნობიერებული დარღვევის შემთხვევაში, დაზღვევა გამოირიცხება და ნოტარიუსი პირადად აგებს პასუხს. იგივე მოქმედებს იმ ფარგლებშიც, რა ფარგლებშიც ასანაზღაურებელი ზიანი დაზღვეულ ოდენობას აღემატება. რადგანაც, ასეთ შემთხვევებში, ხშირად კერძო ქონება არასაკმარისია, რეგიონული პალატები ქმნიან სანოტარო დაზღვევის ფონდებს. ეს ფონდები ყველა გერმანელი ნოტარიუსის შენატანებით იქმნება. განზრახი ქმედებით დაზარალებულ კლიენტებს უშუალო მოთხოვნა წარმოეშობათ ფონდის მიმართ.

8. პროფესიული პალატები

პალატები თვითმმართველი კორპორაციებია, რომლებშიც ნოტარიუსთა გაწევრიანება სავალდებულოა. ნოტარიუსთა ფედერალური პალატის გარდა არსებობს 21 რეგიონული პალატა. ყოველი ნოტარიუსი არის მისი შესაბამისი რეგიონული ნოტარიუსთა პალატის წევრი.

ნოტარიუსთა რეგიონული პალატების ამოცანები, ძირითადად, შემდეგია:

— დისციპლინური ღონისძიებების მომზადება,

— პრაქტიკოს ნოტარიუსთა აყვანა, ანაზღაურება და განათლება,

— ნოტარიუსის გათავისუფლებული ადგილების მართვა ახალი ნოტარიუსის დანიშვნამდე,

— ადგილის დაკავების მომზადება,

— ნოტარიუსებისა და მათი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება,

— ნოტარიუსთა წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების დამუშავება.

ამასთან, პალატები ფილტრის ფუნქციას ასრულებენ. თუ მოქალაქის საჩივარი მხოლოდ ნოტარიუსთა საქმიანობას შეეხება, ცდილობენ, პრობლემა მეგობრულად გადაწყდეს. თუ მოსალოდნელია დისციპლინური ღონისძიების გამოყენება, მასაც პალატა ხელმძღვანელობს.

ნოტარიუსები ვალდებულნი არიან, შეიტანონ საწევრო. ოდენობა დამოკიდებულია ბრუნვაზე, მოწმობათა რაოდენობაზე ანდა განისაზღვრება შერეული სისტემის საფუძველზე.

მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთ პალატაში ნოტარიუსთა ფედერალური პალატისათვის გადასახდელი თანხების გარდა, საწევრო შენატანებით ფინანსდება ასევე მცირე სანოტარო ბიუროები, თუკი ეს საჭიროა მოსახლეობის უზრუნველსაყოფად ეკონომიკურად სუსტ რეგიონებში.

ნოტარიუსთა რეგიონული პალატები ფედერალურ პალატაშია გაერთიანებული. რეგიონული პალატების პრეზიდენტები, ასე ვთქვათ, ფედერალური პალატის პარლამენტს ქმნიან. ნოტარიუსთა ფედერალური პალატის პრეზიდიუმი შედგება პრეზიდენტებისა და ექვსი სხვა წევრისაგან.

ნოტარიუსთა ფედერალური პალატის ამოცანაა გერმანელ ნოტარიუსთა ინტერესების წარმომადგენლობა მესამე პირებთან, ე. ი. ფედერალურ მთავრობასთან, ევროპულ ინსტიტუციებთან და საერთაშორისო სანოტარო ორგანიზაციებთან.

ნოტარიუსთა ფედერალური პალატა ფლობს სამეცნიერო სამსახურს, დაახლ. 30 იურისტისაგან შემდგარ გერმანიის ნოტარიუსთა ინსტიტუტს, რომლის მომსახურების მიღებაც ყოველ ნოტარიუსს ნებისმიერი სიხშირით უფასოდ შეუძლია. ინსტიტუტი კოლეგებისათვის ჯამში დაახლოებით 8000 დასკვნას წერს წელიწადში.

გარდა ამისა, ნოტარიუსთა ფედერალური პალატა პასუხისმგებელია ნოტარიუსთა მთლიან საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. სხვა ყველაფერთან ერთად, იგი ელექტრონული ხელმოწერების სერტიფიცირების სახელმწიფო უწყებაა, იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დავალებით აწარმოებს ორ სახელმწიფო რეესტრს, ქმნის და მართავს (1.1.2022-დან) მოწმობათა ცენტრალურ არქივს ამ პერიოდიდან გაცემული მოწმობებისათვის, ასევე შეიმუშავებს ტექნოლოგიას 2021 წლის აგვისტოდან გათვალისწინებული დისტანციური დამოწმებისათვის. დღეისათვის ნოტარიუსთა ფედერალური პალატის IT-განყოფილებაში დაახლოებით 150 თანამშრომელია დასაქმებული.

ნოტარიუსთა ფედერალური პალატა იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს კონსულტაციას უწევს ყველა იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომლებიც ეხება მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამართლებრივ სფეროებს (ვალდებულებითი და სანივთო, საოჯახო, მემკვიდრეობითი, საკორპორაციო სამართალი), ასევე, რა თქმა უნდა, იმ ინიციატივებზედაც, რომლებიც პირდაპირ სანოტარო სამართალს ეხება. სამუშაო დონეზე, მუდმივი მიმოცვლა ხორციელდება, ერთი მხრივ, სამინისტროს პასუხისმგებელ თანამშრომლებსა და განყოფილებების უფროსებს და, მეორე მხრივ, შესაბამის დეპარტამენტებს შორის ნოტარიუსთა ფედერალური პალატის მმართველობაში. შედარებით მოცულობითი პროექტების თაობაზე იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს ამომწურავი დასკვნები წარედგინება.

ნოტარიუსთა ფედერალური პალატის მმართველობა შედგება დაახლოებით თხუთმეტი განსაკუთრებით კვალიფიციური პრაქტიკოსი ნოტარიუსისგან, რომლებიც ვალდებულნი არიან, სამი-ხუთი წლის განმავლობაში ამ საქმიანობას ეწეოდნენ. სამი მათგანი ხელმძღვანელობს IT-განყოფილებას, სამი კი – ბრიუსელის ბიუროს. იქიდან ხდება ევროპული კანონმდებლობით დაკავებული ევროკომისიის ინსტიტუტების მხარდაჭერა იმავე სახით, როგორც ბერლინის ცენტრალური ოფისიდან – იუსტიციის ფედერალური სამინისტროსი.

II. ნოტარიატის უფლებამოსილებები და ნოტარიული დამოწმების პროცესი

1. უძრავი ქონების სამართალი

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვალდებულებები მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და შეძენის თაობაზე მხოლოდ სანოტარო ფორმით შეიძლება გაფორმდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ხელშეკრულება, რომლითაც უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემა ხდება, ნოტარიულ დამოწმებას ექვემდებარება.

ეს არის ნასყიდობის ხელშეკრულებები, ასევე ოფერტები, ჩუქებისა და მიწის ნაკვეთის გაყოფის ხელშეკრულებები თანამემკვიდრეთა შორის. აგრეთვე ნოტარიულ დამოწმებას ექვემდებარება უძრავი ქონების სანივთო რეალიზაციის უფლებით დატვირთვა, თუკი მესაკუთრე

მოწმობაში იძულებით აღსრულებას ექვემდებარება.

გერმანული დამოწმების სამართალი ნოტარიუსს არაერთ ვალდებულებას უწესებს მოწმობის გაცემის ფარგლებში. მისი მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საქმის არსის განმარტებით, მხარეთა ნების გამოკვლევით, მათთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევითა და გაურკვევლობების თავიდან აცილებით ან აღმოფხვრით. გარდა ამისა, იგი დამატებით ვალდებულია, ყოველთვის ყველაზე უსაფრთხო და მიზანშეწონილი გზა შეარჩიოს, იზრუნოს დაბალანსებული ხელშეკრულების გაფორმებაზე, ასევე, რამდენიმე შესაძლებლობის არსებობისას, მხარეებს სხვადასხვა ვარიანტი გააცნოს და განუმარტოს. ამრიგად, მას ხელშეკრულების სრულყოფილი პროექტირების ვალდებულება აქვს. დამატებითი საგანგებო სამსახურებრივი ვალდებულებები აკისრია მას მომხმარებელთა დაცვის სფეროშიც.

ნოტარიული დამოწმების საგანი გარიგების მთლიანი შინაარსია, დამატებითი შეთანხმებების ჩათვლით. დამატებითი შეთანხმებების დამოწმება მაშინაც სავალდებულოა, როცა ისინი, ცალკე აღებული, მარტივი წერილობითი ფორმითაც შეიძლება გაფორმდეს. მაგალითად, თუ გამყიდველს გაყიდული უძრავი ქონების კიდევ გარკვეული დროით ქირავნობა სურს, ქირავნობის ხელშეკრულებაც ექვემდებარება დამოწმებას, მიუხედავად იმისა, რომ ქირავნობის ხელშეკრულება, ცალკე აღებული, ფორმის დაუცველად შეიძლება დაიდოს. თუკი ქირავნობა, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილია, მასთან ერთად არ დამოწმდება, მთლიანი ხელშეკრულება ბათილია.

გარიგების დადების შემდეგ ნოტარიუსმა ხელშეკრულება უნდა აღასრულოს, ე. ი. ნამდვილობის წინაპირობათა შესაძლო ნაკლი უნდა აღმოფხვრას, იზრუნოს იმ უფლებრივი ტვირთის გაუქმებაზე, რომელიც შემძენზე არ გადადის, მოიპოვოს საჯარო ნებართვები და, ბოლოს, შეიტანოს განცხადება საჯარო რეესტრში (უძრავი ქონების რეესტრი, სამეწარმეო რეესტრი) ცვლილების შეტანის მოთხოვნის თაობაზე.

სანამ ნოტარიუსი უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულებას დაამოწმებდეს, მან უნდა გადაამოწმოს უძრავი ქონების რეესტრის მონაცემები.

უძრავი ქონების რეესტრში, გარდა უძრავი ქონებისა, იძებნება ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა სანივთო უფლება. ე. ი. რეესტრში რეგისტრირებულია მესაკუთრე, ასევე იპოთეკა, მიწის ვალი და მიწის ნაკვეთის სხვა უფლებრივი ტვირთები, როგორიცაა, მაგალითად, აუცილებელი გზის უფლება, ბინით სარგებლობის უფლება ან უზუფრუქტი. ამრიგად, უძრავი ქონების რეესტრი იძლევა ინფორმაციას მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ყველა უფლებაზე. რაც უძრავი ქონების რეესტრში არაა რეგისტრირებული, ის არც არსებობს. და პირიქით: რეესტრის მონაცემებზე ვრცელდება უტყუარობის პრეზუმფცია.

ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპაში, მართალია, არსებობს უძრავი ქონებისა და უფლებრივ ტვირთთა შედარებით საიმედო რეესტრი, მაგრამ არაერთი მართლწესრიგი უშვებს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ნამდვილი უფლებების, მაგალითად, საჯარო რეესტრის მიღმა აუცილებელი გზის ან განაშენიანების კერძოსამართლებრივი აკრძალვის წარმოშობის შესაძლებლობას. კეთილსინდისიერმა შემძენმა ასეთი უფლებები უნდა ითმინოს, რაც გერმანიაში შეუძლებელი იქნებოდა.

ამდენად, რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შედგენისას, მოითხოვს მაღალი ხარისხის სიზუსტეს. ნოტარიუსმა მოწმობაში უპირველესად უნდა აღნუსხოს მიწის ნაკვეთის ყველა უფლებრივი ტვირთი, მიუხედავად იმისა, ისინი შემძენზე უნდა გადავიდეს თუ მანამდე გამსხვისებელმა უნდა გააუქმოს. ნოტარიუსს, როგორც უძრავი ქონების რეესტრში რეგისტრაციისათვის წინასწარი შემოწმების ორგანოს, არაერთი სხვა ვალდებულება აკისრია, კერძოდ, მხარეთა ვინაობის დადგენა, წარმოდგენილი რწმუნებულებების ნამდვილობის დადგენა, აუცილებელი ოფიციალური ნებართვების მოპოვება და რეესტრში დასარეგისტრირებელი ყველა უფლების ზუსტი ფორმულირება.

მიწის ნაკვეთის ჩუქების ხელშეკრულებების დროს ნოტარიუსმა უნდა იზრუნოს გამსხვისებლის დაცვაზე, ე. ი. მას უნდა ჰკითხოს, ხომ არ ინარჩუნებს უძრავ ქონებაზე უფლებებს, მაგალითად, ბინით სარგებლობის უფლებას ან უზუფრუქტს, ანდა ხომ არ სურს გარკვეული გარემოებების არსებობისას უძრავი ქონების უკან დაბრუნება – მაგალითად, შემძენის გარდაცვალებისას.

უძრავი ქონების რეესტრში რეგისტრაცია მხოლოდ იმ განცხადების საფუძველზეა შესაძლებელი, რომელიც ნოტარიუსმა შეიტანა. სხვა პირებს ეს უფლება არ აქვთ. განცხადების შეტანა მხოლოდ ელექტრონულად ხდება. მხოლოდ ნოტარიუსებს აქვთ შესაბამისი წვდომა და ამისთვის საჭირო ციფრული აპარატურა. ტექნიკური პროცედურა იგივეა, რაც მომდევნო, მე-2 ქვეთავში აღწერილი მეწარმეთა რეესტრში რეგისტრაციის პროცედურა.

ნოტარიული დამოწმების ყოვლისმომცველი საკანონმდებლო მოწესრიგება, ნოტარიუსის მიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების საგულდაგულო მომზადება და განხორციელება, ასევე განცხადების შეტანის ექსკლუზიური უფლება უზრუნველყოფს, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები, უმნიშვნელოდ მცირე გამონაკლისების გარდა, სწორია და ასეთი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავები ძალიან იშვიათია. ამგვარად ნოტარიუსი მრავალ სოციალურად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. უძრავი ქონების ყოველი გადაცემისა და დატვირთვისას საჯარო მოწმობის გაცემის ვალდებულება ყველა დაკავშირებულ პროცედურას გამჭვირვალეს ხდის სახელმწიფო ორგანოებისთვის. საფინანსო მმართველობას ეს უმარტივებს გადასახადების აკრეფას, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს კი ხელს უწყობს თავიანთი ამოცანების შესრულებაში. ეს განსაკუთრებით ეხება კორუფციისა და ფულის გათეთრების დელიქტების სფეროს. გარდა ამისა, ნოტარიული დამოწმებით ხდება მხარეთა შორის დავების თავიდან აცილება, რაც ხელს უწყობს სამართლებრივ მშვიდობას და მართლმსაჯულების განტვირთვას ემსახურება.

2. საკორპორაციო სამართალი

საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის მქონე ყველა ქვეყანაში საკორპორაციო სამართალს ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება. გერმანიაში სანოტარო მოქმედებებს შორის ცენტრალური ადგილი კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალს უკავია. ამასთან, უნდა განვასხვაოთ სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში, დამოწმებას საჭიროებს დაფუძნება და საფონდო ბირჟაზე კოტირებული საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ყველა გადაწყვეტილება, ხოლო საფონდო ბირჟაზე არაკოტირებული საზოგადოების შემთხვევაში – კაპიტალური ღონისძიებები და წესდების ცვლილებები.

საზოგადოების ყველაზე გავრცელებული ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. გერმანიაში მილიონზე მეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არსებობს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სფეროში ყველა მნიშვნელოვანი პროცესი დამოწმებას მოითხოვს. კერძოდ კი:

— დაფუძნება,

— წესდების ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება, განსაკუთრებით კაპიტალური ღონისძიებები,

— წილის გადაცემა ან მთელი საზოგადოების გასხვისება,

— საკუთრების მინდობის ხელშეკრულებები საზოგადოების წილზე.

ისევე, როგორც უძრავი ქონების სამართალში, ნოტარიუსს საკორპორაციო სამართალშიც განმარტებასა და გარიგების პროექტირებასთან დაკავშირებული არაერთი ვალდებულება აკისრია. მაგალითად, საზოგადოების დაფუძნებისას მან ნორმატიულად უნდა მოაწესრიგოს, რა ფარგლებში აქვს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება დირექტორს ან თანამშრომლობის ვალდებულება პარტნიორებს, გადაეცემა თუ არა წილები მემკვიდრეობით, აქვთ თუ არა სხვა პარტნიორებს წილის გადაცემისას ხმის უფლება, როგორ ნაწი-

ლდება მოგება და რა სახის კომპენსაციას იღებს პარტნიორი საზოგადოების ლიკვიდაციის დროს.

გარდა ამისა, რეორგანიზაციის შესახებ კანონის მიხედვით, დამოწმებას ექვემდებარება რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, ე. ი. შერწყმა, გამოყოფა და სამართლებრივი ფორმის შეცვლა. ამრიგად, გერმანიაში ნოტარიუსის პასუხისმგებლობა მოიცავს ხელშეკრულებათა შედგენისა და შესრულების მნიშვნელოვან ნაწილს სამეწარმეო ტრანზაქციებისას საკორპორაციო-სამართლებრივი სტრუქტურული ცვლილებების სფეროში.

საკორპორაციო სამართალში ნოტარიუსებს მოცულობითი ვალდებულებები აქვთ საფინანსო უწყებების წინაშე. ყველა მოწმობა, რომელიც ამ სამართლებრივ სფეროს ეხება, ფინანსების სამმართველოს უნდა წარედგინოს. ამგვარად ფინანსური სამსახური, სამეწარმეო რეესტრში ხელმისაწვდომი მონაცემების გარდა, ინფორმაციას იღებს არა მხოლოდ საზოგადოებებისა და სამეწარმეო ჯგუფების სტრუქტურასა და სხვა სახის ურთიერთობებზე, არამედ ასევე ტრანზაქციების საფუძვლად დადებულ ფულად ნაკადებზე.

გერმანულ საკორპორაციო სამართალში ცენტრალურ სახელმწიფო საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო რეესტრი. მას რაიონული სასამართლოები აწარმოებენ. ყველა სახის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ხორციელდება განცხადების საფუძველზე, რომლის ნოტარიული დამოწმებაც სავალდებულოა. სამეწარმეო რეესტრში განცხადების შეტანა ელექტრონულად ხდება. მხოლოდ ნოტარიუსებს აქვთ უფლება, სამეწარმეო რეესტრში შეიტანონ განცხადება რეგისტრაციის თაობაზე. მხოლოდ ისინი ფლობენ ამისათვის აუცილებელ ელექტრონულ აპარატურასა და საჭირო წვდომას. გადაგზავნა ერთგვარი ელექტრონული კონტეინერით ხორციელდება. კონტეინერში გამოსახულების ფაილის (pdf-ფაილის) სახით მოთავსებულია ელექტრონულად ხელმოწერილი სკანირებული ასლი დედნის სახით წარმოდგენილი განცხადებისა ყველა საჭირო ხელმოწერითა და ნოტარიუსის ბეჭდით, ასევე xml-ფაილი ანუ სტრუქტურირებული ჩანაწერი იმ ტექსტისა, რომელიც სამეწარმეო რეესტრში უნდა გამოქვეყნდეს, ასევე ნოტარიუსის რეკვიზიტები, რომლებიც ბმულით ნოტარიუსთა ფედერალური პალატის ცენტრალურ ნოტარიუსთა სიას ავტომატურად უკავშირდება.

სამეწარმეო რეესტრისათვის ელექტრონული კომუნიკაცია ნიშნავს სამუშაოს მნიშვნელოვნად გამარტივებასა და ხარჯების შემცირებას.

მონაცემთა ტრანსფერი მთლიანად ხორციელდება გაყალბებისაგან დაცული ინტერნეტის გზით. განცხადების შეტანის უფლებამოსილების მქონე ნოტარიუსები აღჭურვილნი არიან ჩიპ-კარტებით, რომლებსაც ნოტარიუსთა ფედერალური პალატა გასცემს. ჩიპ-კარტა ექვსნიშნა კოდით აქტივირდება.

სამეწარმეო რეესტრი ყველასათვის საჯაროდ ხელმისაწვდომია. სამეწარმეო რეესტრში შეიძლება ყოველი სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი ბრუნვისათვის მნიშვნელოვანი ყველა მონაცემის მოძიება. კერძოდ, რეესტრი იძლევა ინფორმაციას იმაზე, თუ რომელ პირებს აქვთ, გარე ურთიერთობაში სამართლებრივად მბოჭავი ეფექტით, საზოგადოების წარმოდგენის უფლება. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებზე ვრცელდება უტყუარობის პრეზუმფცია. ყველას შეუძლია ენდოს რეესტრის მონაცემთა სისწორეს. მაგალითად, თუკი სამეწარმეო რეესტრში შეცდომითაა მითითებული, რომ დირექტორად რეგისტრირებულ პირს საზოგადოების სახელით ხელშეკრულების დადება შეუძლია, ეს ხელშეკრულება ნამდვილი იქნება.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნოტარიულად შემოწმებული განცხადების საფუძველზე ხორციელდება, უზრუნველყოფს ასევე სამოქალაქო და სოციალური ურთიერთობების სრულყოფილ გამჭვირვალობას. ეს კი ეხმარება პარტნიორებს, ბანკებსა და საჯარო მმართველობას, განსაკუთრებით კი საფინანსო უწყებებს.

3. მემკვიდრეობის სამართალი

გერმანიაში უკანასკნელი ნების გამომხატველი ორი მნიშვნელოვანი ფორმა არსებობს, კერძოდ, ცალკეული პირის ანდერძი და ე. წ. მემკვიდრეობის ხელშეკრულება. მემკვიდრეობის ხელშეკრულება არის მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი, თუმცა ასეთი ანდერძი შეიძლება შეადგინონ უფრო შორეულმა ნათესავებმა ანდა სულაც არამონათესავე პირებმაც. ანდერძის ნოტარიული დამოწმება სავალდებულო არაა. მემკვიდრეობის ხელშეკრულებები კი სავალდებულო ნოტარიულ დამოწმებას ექვემდებარება.

მიუხედავად იმისა, რომ ანდერძი უბრალო ხელწერილის სახითაც შეიძლება შედგეს, ბევრი ირჩევს ნოტარიული დამოწმების უფრო უსაფრთხო გზას. უსაფრთხო გზა იმას ნიშნავს, რომ ანდერძი სწორად და არამრავალმნიშვნელოვნადაა შედგენილი. ნოტარიულად დამოწმებული ანდერძის გამო სასამართლო დავები ძალიან იშვიათია. პირადად შედგენილი ანდერძის გამო დავები კი – ხშირი. ნოტარიულად დამოწმებული ანდერძი ისევე, როგორც მემკვიდრეობის ხელშეკრულება, ოფიციალურად უნდა იქნას შენახული. ამიტომ ისინი ვერ დაიკარგება და სამკვიდროს გახსნის დროს გაიხსნება. ნოტარიულად დამოწმებული ანდერძისა და მემკვიდრეობის ხელშეკრულების დროს საჭირო აღარაა სამკვიდრო მოწმობა. სამკვიდრო მოწმობა არის საბუთი მემკვიდრეობის შესახებ. კერძო ანდერძის შემთხვევაში, მემკვიდრემ ასეთი მოწმობა უნდა მოითხოვოს, რაც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ნოტარიულად დამოწმებულ ანდერძს და მემკვიდრეობის ხელშეკრულებას ნოტარიუსები ელექტრონულად არეგისტრირებენ ანდერძთა რეესტრში. ანდერძთა რეესტრს აწარმოებს ნოტარიუსთა ფედერალური პალატა. რეესტრის მიზანია, უზრუნველყოს მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ანდერძის ან მემკვიდრეობის ხელშეკრულების გასახსნელად მიწოდება სამკვიდრო საქმეთა განმხილველ სასამართლოსთვის. მთელი პროცესი ელექტრონულად მიმდინარეობს განსაკუთრებულად დაცული ინტრანეტის საშუალებით, რომელსაც ნოტარიუსთა ფედერალური პალატა მართავს.

თუ სახეზეა კერძო ანდერძი, ნოტარიუსს აქვს სამკვიდროს გახსნის კომპეტენცია, ის იღებს განცხადებებს სამკვიდრო მოწმობის ანდა ევროპული სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე. ამ ორივე მოწმობას ითხოვს ნოტარიუსი და გასცემს სამკვიდრო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძი არ არსებობს და ამის გამო კანონისმიერი მემკვიდრეობა დგინდება. კანონისმიერ მემკვიდრეებს ლეგიტიმაციისათვის ასევე ესაჭიროებათ სამკვიდრო მოწმობა ან ევროპული სამკვიდრო მოწმობა.

4. საოჯახო სამართალი

საოჯახო სამართალში ნოტარიუსის კომპეტენცია ვრცელდება საქორწინო ხელშეკრულებებისა და განქორწინების შეთანხმებების დამოწმებაზე. შეთანხმებები განქორწინების თაობაზე ხშირია. როგორც წესი, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება იყოფა, წესრიგდება მეუღლეებისა და შვილების ალიმენტის მოთხოვნები, ასევე კანონისმიერ ან კერძო საპენსიო დაზღვევაში სამომავლოდ მისაღები ქონების განაწილება.

5. მოწმობების მტკიცებულებითი ძალა და აღსრულებადობა

კერძო მოწმობები სასამართლო პროცესში წარმოადგენს მხოლოდ იმის მტკიცებულებას, რომ მათში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები ხელმომწერ პირებს ეკუთვნით. საჯარო ანუ სანოტარო მოწმობები კი სასამართლო პროცესში მთელი დამოწმებული პროცედურის მტკიცებულებაა. თუ რა იგულისხმება დამოწმების პროცედურაში, 1-ლ ქვეთავში უძრავი ქონების გადაცემისა და მე-2 ქვეთავში საზოგადოების დაფუძნების მაგალითებითაა აღწერილი.

გერმანელი ნოტარიუსის მიერ შედგენილი საჯარო მოწმობები მასში დადგენილი მოთხოვნის უფლებების ნაწილში აღსრულებადია. მოთხოვნის უფლების მქონე პირს შეუძლია წინას-

წარი სასამართლო პროცესის გარეშე უშუალოდ მოწმობის საფუძველზე აწარმოოს მოთხოვნის აღსრულება. მოწმობებს აქვთ იგივე ძალა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამიტომ ისევე, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში, აღსრულების საწინააღმდეგო შესაგებლების წარდგენა აღსრულების პროცესში მხოლოდ განსაკუთრებით შეზღუდული სამართლებრივი საშუალებებითაა შესაძლებელი.